



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 150

2023 წლის 11 აგვისტო
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2022 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2022 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471059) 2022 წლის სექტემბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის)

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2022 წლის 22 სექტემბრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განყოფილება ახდენდა სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული სკოლების და დარბაზების მომსახურებას მათ მიერ მოთხოვნილი ღონისძიებების და სხვადასხვა სამეურნეო და სარემონტომოთხოვნების შესაბამისად და აგრეთვე გაწეული კომუნალური ხარჯების აღრიცხვა-კონტროლს.

საანგარიშგებო პერიოდში სააგენტოზე რიცხული მიკროავტობუსებით მომსახურება 253-ჯერ გავუწიეთ სკოლების და დარბაზების სპორტსმენებს სხვადასხვა სახის როგორც კალენდარულ ასევე არაკალენდარულ სპორტოლ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის, რისთვისაც გაიხარჯა 10318,95 ლიტრი დიზელის საწვავი, 84 ლიტრი ძრავის ზეთი, 7 ცალი ზეთის ფილტრი 3-ჯერ შევუცვალეთ საბურეავები. მიკრო ავტობუსებს დაზიანების შემთხვევაში უტარდებოდათ მიმდინარე რემონტი(წინა და უკანა რესორები,სამუხრუჭე ხუნდები, ჰაერის ფილტრი, საქარე მინის საწმენდი და სხვა) მიკროავტობუსს სახ NCC311CD დაზიანების გამო შევუცვალეთ ძრავი.

ვახდენდით კომუნალური ხარჯების აღრიცხვა-კონტროლს, შემოსული ქვითრების გადამოწმებას და რაიმე უსწორობის შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას. აღნიშნულ პერიოდში სააგენტოს და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლებსა და დარბაზებში მოხმარებულ იქნა 4545კუბ.მეტრი წყალი, 89 979 კუბ. მეტრი გაზი და 86 527 კვ/საათი ელექტრო ენერჯია.

განყოფილების ელექტრიკოსის მიერ ხორციელდებოდა სკოლების და დარბაზების ელექტრო ჩამრთველების, როზეტების და განათებების მონიტორინგი, შ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალურ სპორტ სკოლის კალათბურთის დარბაზში და გ. პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში შეიცვალა და დამონტაჟდა პროექტორები 12 ცალი და განათების ბრები 18 ცალი. შემოსული წერილების და მოთხოვნების მიხედვით ხორციელდებოდა დაზიანებული ჩამრთველების, როზეტების და ნათურების შეცვლა. გ. პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს სკოლას და ნ. სხიერელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში ჩაუტარდათ გათბობის სისტემებს რემონტი.

საანგარიშო პერიოდში სკოლებისა და დარბაზებისათვის შებიძინეთ და გადავეცით პირსაბანისა და აბანოების ონკანები, უნიტაზების კომპლექტი 2 ცალი შ. ჩოჩიშვილის სახელობის სპორტ სკოლას და გ. პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზს.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ ვერსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით სააგენტოს აიტ-ს სპეციალისტის მიერ ჩატარდა სკოლების და დარბაზების კომპიუტერული სისტემის გამართულობაზე მონიტორინგი და შესაბამისად უზრუნველვყავით აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა. შევცვალეთ ძველი ინტერნეტ კაბელები, შევიძინეთ 3 ცალი კომპიუტერი და 2 ცალი პორტაბელური კომპიუტერი, სვიჩი 24 პორტიანი, კლავიატურა 2ცალი, მყარი დისკი SSD 256 GB 3 ცალი და თავვი 3 ცალი.

ამავე პერიოდში სააგენტო, სკოლები და დარბაზები 3-ჯერ დავაკმაყოფილეთ როგორც საკანცელარიო ასევე ჰიგიენური და სადუზინფექციო საშუალებებით, აგრეთვე მათი მოთხოვნების შესაბამისად ვახორციელებით სხვადასხვა სამეურნეო ნივთების შეძენას და შემდგომ მათი მიღება-ჩაბარების აქტებით გადაცემას

შრომის უსაფრთხოება

(2023 წლის 20 ივლისამდე შესრულებული სამუშაოების შესახებ მოკლე ანგარიში)

გასული ერთი წლის განმავლობაში (2022 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება N370-ით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მოთხოვნათა საფუძველზე შემუშავებული და დანერგილ იქნა (დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით) სააგენტოს სახანძრო უსაფრთხოების წესი.

გარდა ამისა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისა და სააგენტოში შრომის უსაფრთხოების კუთხით დანერგილი წესების (რეგულაციების) ფარგლებში სააგენტოსა და მის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებში ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- პერიოდული შეხვედრები სააგენტოში დასაქმებულ თანამშრომლებთან და მათთვის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სხვადასხვა სწავლებების (ინსტრუქტაჟების) ჩატარება;
- სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დროს პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში დარიგდა და აღიჭურვა პირველადი გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ყუთებით;
- სააგენტოსთვის უზუფრუქტის წესით სარგებლობაში გადმოცემულ უძრავ ქონებაზე (ადმინისტრაციული განყოფილებისთვის განკუთვნილი ფართი, სპორტული სკოლები და საწვრთნელი დარბაზები) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების მიერ მოხდა შენობების აზომვა, გაკეთდა დეტალური ნახაზები და საევაკუაციო გეგმები, რომლებიც სხვა გამაფრთხილებელ, ამკრძალავ თუ საინფორმაციო ნიშნებთან ერთად განთავსდა (გაიკრა) შენობების შესაბამის თვალსაჩინო ადგილებზე;
- სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში არჩეულ შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლებთან სისტემატური კომუნიკაცია და შენობებში მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირების მიზნით ერთობლივი შემოწმებები;
- სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული შენობების (ადმინისტრაციული და საწვრთნელი (დარბაზები) სკოლები) დათვალიერება მათი კონსტრუქციული მედეგობის, არსებული კომუნიკაციების (ელექტრო გაყვანილობა, ბუნებრივი აირი, წყალი, კანალიზაცია) საინჟინრო-ტექნიკური გაყვანილობის და ექსპლოატაციის წესების

შესაბამისობის დადგენა არსებულ სტანდარტებსა და უსაფრთხოების ნორმებთან დადგენის მიზნით;

- საფრთხის აღმოჩენის შემთხვევაში მათი დეტალური აღწერა, დასურათება და შესაძლო რისკების განსაზღვრა. საფრთხის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად საჭირო პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- სამუშაო სივრცეში საგანგებო მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში შენობების საევაკუაციო გეგმების მიხედვით საევაკუაციო გასასვლელების, სახანძრო უსაფრთხოების სტენდების და ცეცხლმაქრების მდგომარეობის შემოწმება;
- სააგენტოს შოთა ჩოციშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტული სკოლის შენობის სასტუმროში (მე-3 და მე-4 სართულები) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოს პროცესის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით და სამუშაოებზე კონტრაქტით დასქმებული ხელოსნების ინსტრუქტაჟირება.

ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა

2022 წლის შედეგები

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
1	თავისუფალი ჭიდაობა	მ.დობტურიშვილისა და ზ. შეყილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი XIV საერთაშორისო ტურნირი	7 – 9 სექტემბერი	ქუთაისი	47 სპორტსმენი/ 4 მწვრთნელი	გიგლა მაყიშვილი	პირველი ადგილი: თემურ თუთარაშვილი (41), დავით პაპუკიშვილი (52), დათო ჭულუხაძე (57), რატი რევაზაშვილი (62), ანდრია გამხიტაშვილი (23), ლუკა დოთიაშვილი (32), ზურა დოთიაშვილი (35), დატო ტაბატაძე (38), მიხეილ მაყიშვილი (42), ანდრია დოიჯაშვილი (+42). მეორე ადგილი: ნიკა მაჭარაშვილი (38), აკაკი მაზმიშვილი (52), გიგა ოთინაშვილი (57), მათე პაპიტაშვილი (23), გიორგი ლობჯანიძე (35), ედო მანველიშვილი (42). მესამე ადგილი: ტარიელ საათაშვილი (41), გიორგი სიჭინავა (44), გოგა კოპაძე (44), დემეტრე ბერიანიძე (57), იოანე სიხარულიძე (62), თომა პაპიტაშვილი (23), ლექსო ნოზაძე (29), ლაზარე კურმაშვილი (29), ნიკა ტარუაშვილი (38), ლუკა ქავთარაძე (42).

2	თავისუფალი ჭიდაობა	ა.მაისურაძისა და შ.კვიციანიძის სახელობის ტურნირი 2006–2007წ.წ. დაბადებულთა შორის	29–30 ოქტომბერი	თბილისი	22 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	პირველი ადგილი - გიორგი მაისურაძე, მეორე ადგილი - გიორგი წურიაშვილი, ნიკა ბერიანიძე, ზურა აბალაკი, დაჩი პაპინაშვილი .მესამე ადგილი - ნიკა მაჭარაშვილი, თემო თუთაშვილი, ტარიელ საათაშვილი, ზურა კეკელაშვილი, კონსტანტინე პეტრიაშვილი, ლუკა კურმაშვილი.
3	თავისუფალი ჭიდაობა	გურამ სადარაძის სახელობის ტურნირი 2010–2011 და 2012–2013 წ.წ. დაბადებულთა შორის	2 – 4 დეკემბერი	ამბროლაური	22 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	პირველი ადგილი: დავით ჩოჩიშვილი(20 კგ), მათე პაპიტაშვილი(23კგ), ლაზარე კურმაშვილი(32კგ); მეორე ადგილი: ნიკოლოზ ბერიანიძე(20კგ),თომა პაპიტაშვილი(23კგ),გიორგი ოქროპირიძე(29კგ), დავით ლომაური(32კგ),აპექსან დრე ტლაშაძე(+38კგ); მესამე ადგილი: დავით ლატიფოვი(20კგ), ანდრია გამხიტაშვილი(26კგ), დავით უბიანიძე(35 კგ)

							დავით კოსთასიძე(41კგ), ნიკოლოზ მერაბიშვილი(38კგ), საბა ვართანიანი(+38კგ).
4	თავისუფალი ჭიდაობა	ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი 2006-2007 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის	9 – 11 დეკემბერი	თბილისი	19 სპორტსმენი/ 3 მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	პირველი ადგილი – გოგა კოპაძე (41 კგ), გიორგი მაისურაძე (52 კგ). მეორე ადგილი – ნიკა ბერიანიძე (51 კგ). კონსტანტინე პეტრიაშვილი (80 კგ). მესამე ადგილი – იორგი წურიაშვილი (45 კგ), ცოტნე ბერძნიშვილი (45 კგ), როზო მოდოსიანი (80 კგ).
							2008-2009 წწ დაბადებულებს შორის. პირველი ადგილი - თემო თუთარაშვილი (41 კგ), ცოტნე ბერძნიშვილი (44 კგ), რატი რევაზაშვილი (62 კგ) მეორე ადგილი - დავით ყაყიტაშვილი (38 კგ), გიორგი სიჭინავა (44 კგ), დემეტრე ბერიანიძე (57 კგ), დავით ჭულუხაძე (62 კგ) მესამე ადგილი - ტარიელ საათაშვილი (41 კგ), გიგა ოთინაშვილი (57 კგ). 2010, 2011 წწ

5	თავისუფალი ჭიდაობა	ვ-კვინიკაძის ტურნირი	10-10 დეკემბერი	ხაშური	20 საპორტსმენი/ 3 მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	2010-2011 წწ დაბადებულებს შორის. პირველი ადგილი: ლაზარე კურმაშვილი (29 კგ), გიორგი ლობჯანიძე (38 კგ), მიხეილ მაყიშვილი (44 კგ), ანდრია დოიჯაშვილი (60 კგ) მეორე ადგილი: ანდრია გამხიტაშვილი (26 კგ), ლუკა დოთიაშვილი (35 კგ), ნიკა ტარუაშვილი (38 კგ), ლუკა ქავთარაძე (44 კგ), საბა ვართანიანი (47 კგ) მესამე ადგილი: მათე პაპიტაშვილი (26 კგ), ლექსო ნოზაძე (32 კგ), დათო ტაბატაძე (38 კგ)
---	-----------------------	----------------------	--------------------	--------	--------------------------------	----------------	---

2023 წლის შედეგები

№	სექცია	დონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
1	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (დიდები)	7 – 10 იანვარი	ბათუმი	13სპორტსმენი/ 3 მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	პირველი ადგილი – გენო პეტრიაშვილი.მესამე ადგილი – გოდერძი ძევისაშვილი (65 კგ), დავით ფაცინაშვილი (70), დიმიტრი ჯიოჯიძე (74 კგ),მერაბ სულეიმანიშვილი (97 კგ)
							პირველი ადგილი – გოგა ოთინაშვილი (65კგ.)დავით ფაცინაშვილი (70 კგ.) მერაბ


2	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს პირველობა 23 წლამდელთა შორის	7-9 თებერვალი	გორი	10 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	არკადი ხინჩიკაშვილი	სკოლას სულეიმანიშვილი (97კგ.)მარინა სატკოევი (46 კგ.). მეორე ადგილი - გიორგი რომელაშვილი (92 კგ). მესამე ადგილი - ნიკა ზანგალაძე (57 კგ),დაჩი პაპინაშვილი (86 კგ),ზურაბ რომელაშვილი (125 კგ).
3	თავისუფალი ჭიდაობა	ქარელის მერიის თასის გათამაშება (2011-2012წწ)დაბადებულ სპორტსმენებში	25 თებერვალი	ქარელი	35 სპორტსმენი 2 მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	I-9 II-7 III-7
4	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს პირველობა 17 წლამდელთა შორის U17	27-29 მარტი	ოზურგეთი	18 სპორტსმენი 3მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	I-ადგილი გიორგი მაისურაძე(51კგ) ზურაბ აბლაკი(65კგ) კონსტანტინე პეტრიაშვილი(80კგ) II-ადგილი გიორგი წურიაშვილი(45კგ) ზურაბ კეკელიშვილი(60კგ) ლუკა ტატიაშვილი(65კგ)
5	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს პირველობა 20 წლამდელთა შორის	18-20 აპრილი	ხაშური	11 სპორტსმენი 2მწვრთნელი	ბესიკ გუჩაშვილი	I-ადგილი გიორგი რომელაშვილი(92კგ) ზურაბ რომელაშვილი(მძიმე) III-საბა დამბაშიძე(61კგ) ზურა კეკელაშვილი(61კგ) დაჩი პაპინაშვილი(86კგ)

6	თავისუფალი ჭიდაობა	საქართველოს პირველობა 15 წლამდელთა შორის U15.	03-05 მაისი	სტეფანწმინდა	21 სპორტსმენი 3მწვრთნელი	არკადი ხინჩიკაშვილი	I- ადგილი დავით პაპუკიშვილი(957კგ) II- ადგილი თემო თუთარაშვილი(41კგ) გოგა ოთინაშვილი(57კგ) III- ნიკოლოზ მაჭარაშვილი(38კგ)საბა მინდიაშვილი(38კგ)გოგ ო გობაძე(44კგ)ცოტნე ბერძნიშვილი(48კგ)აკაკ ი მაზმიშვილი(52კგ) რატი რევაზიშვილი(62კგ)
7	თავისუფალი ჭიდაობა	მ. ფერიაშვილის რესპუბლიკური ტურნირი	17-19 მაისი	ყვარელი	13 სპორტსმენი 2მწვრთნელი		I- ადგილი რატი რევაზიშვილი გოგა ოთინაშვილი ტარიელ საათაშვილი II- ადგილი საბა პაპაშვილი ნიკოლოზ მაჭარაშვილი III-ადგილი საბა მინდიაშვილი
							I-ადგილი ანდრია მახარაშვილი(23კგ)ანდრ ია

8	თავისუფალი ჭიდაობა	შ.ბაგაურის ხსოვნის ტურნირი (2011–2012–2013წწ.) დაბადებულ სპორტსმენებს შორის	20–21 მაისი	თბილისი	37 სპორტსმენი 3მწვრთნელი	არკადი ხინჩიკაშვილი	<p>გამხიტაშვილი(26კგ)ლუკა დოთიაშვილი(35კგ)გიორგი ლობჯანიძე(38კგ)ზურა დოთიაშვილი(41კგ)ედუარდ მანველიშვილი(52კგ)მანდრია დოიჯაშვილი(56კგ)II_ადგილი გიორგი გიგაური(26კგ)ლუკა ქავთარაძე(42კგ)III- ადგილი მათე თუშიშვილი(23კგ)მათე პაპიტაშვილი(26კგ)აივან ზემინოვი(26კგ)ლექსო ნოზაძე(26კგ)ნიკოლოზ ტარუაშვილი(38კგ)დავით ტაბატაძე(41კგ)მიხეილ მაციშვილი(41კგ) ლუკა ქარელიშვილი(44კგ) საბა ვართანიანი(48კგ)</p>
							I- ადგილი

9	თავისუფალი ჭიდაობა	რაჭის ღია პირველობა	26–28 მაისი	ამბროლაური	23 სპორტსმენი 3მწვრთნელი	გიგლა მყაყაშვილი	დავით ყაყაყაშვილი II- ადგილი მათე თუშიშვილი იოანე ხორგუაშვილი ნიკოლოზ თათანაშვილი III-ადგილი დავით ჩოჩიშვილი ზუკა წინამძღვრისშვილი
10	თავისუფალი ჭიდაობა	გ. სხირტლაძის და შ. მაისურაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი (2013–2014 წწ) დაბადებულ სპორტსმენებს შორის	9–11 ივნისი	ონი	22 სპორტსმენი 2მწვრთნელი	არჩილ ბარამიძე	I- ადგილი ნიკოლოზ ბერიანიძე(20კგ)გიორგი გიგაური(26კგ)გიორგი ოქროპირიძე(29კგ)ლაზა რე ინდუაშვილი(35კგ)ნიკო ლოზ მერაბიშვილი(38კგ)საბა ვართანიანი(+48კგ) II- ადგილი მათე პაპიტაშვილი(26კგ) III- ადგილი დანიელ გალეგაშვილი(20კგ)მათ

							<p>ე თუშიშვილი(23კგ)ანდრ ია მახარაშვილი(23კგ)ანდრ ია გამხიტაშვილი(26კგ)აივ აზ ემინოვი(26კგ)გაბრიელ ჩინჩრიკი(29კგ)დავით ოქროპირიძე(32კგ)ლექს ო გიგაური(32კგ)</p>
11	თავისუფალი ჭიდაობა	ტ. ალიბეგაშვილის სახელობის ღია ტურნირი (2009–2010 და 2011–2012წწ)დაბადებულ სპორტსმენებს შორის	23–25 ივნისი	სტეფანწმინდა	33 სპორტსმენი 4მწვრთნელი	გ. მაყაშვილი	<p>I – ადგილი – 10 II - ადგილი – 6 III- ადგილი – 8</p>



ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“- ს

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება /HR/

ა ნ გ ა რ ი შ ი : / 01.09.2022 – 24.07.2023 წ.წ. /

- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“ საწესდებო საქმიანობას წარმართავს მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
- „სააგენტო“- ს სტრუქტურული ერთეულებია:
 - 1.1 სააგენტოს ადმინისტრაცია, რომელიც შედგება შემდეგი განყოფილებებისგან:
 - ა) სპორტული ღონისძიებების განყოფილება;
 - ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;
 - გ) საქმის წარმოების განყოფილება (კანცელარია);
 - დ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება – (HR);
 - ე) იურიდიული განყოფილება;
 - ვ) შესყიდვების განყოფილება;
 - ზ) საფინანსო განყოფილება (ბუღალტერია);
 - თ) სასწავლო პროცესის ზედამხედველობის განყოფილება;
 - ი) შრომის უსაფრთხოების განყოფილება;
 - კ) სააგენტოს სასტუმრო (გორი სტალინის გამზ. N11).
 - 1.2 სააგენტოს გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა.
 - 1.3 სააგენტოს ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა.
 - 1.4 სააგენტოს ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა.
 - 1.5 სააგენტოს გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა.
 - 1.6 სააგენტოს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, რომლის დაქვემდებარებაში შედის გორის მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი სექციები:
 - ა) სოფელი ქვახვრელი – ძიუდოს სექცია;
 - ბ) სოფელი სკრა – ძიუდოს სექცია;
 - გ) სოფელი ფლავისმანი – ძიუდოს სექცია;
 - დ) სოფელი ზერტი – ძიუდოსა და ძალოსნობის სექცია;
 - ე) სოფელი მერეთი – ძიუდოს სექცია;
 - ვ) სოფელი ატენი – ძიუდოს სექცია;
 - ზ) სოფელი ზედდულეთი – ძიუდოს სექცია;
 - თ) სოფელი მეჯვრისხევი – თავისუფალი ჭიდაობის სექცია;
 - ი) სოფელი ხურვალეთი – კრივისა და თავისუფალი ჭიდაობის სექცია, რაგბი;
 - კ) გორი, მშვიდობის გამზ.N12 – კიკბოქსინგის, მკლავჭიდისა და კრივის სექცია;
 - ლ) გორი, სტალინის გამზ.N54 – ჭადრაკის სექცია.
 - 1.7 სააგენტოს ძიუდოს კლუბი „Golden Gori“.
 - 1.8 სააგენტოს თ/ჭიდაობის კლუბი „Skhireli Club“.
 - 1.9 სააგენტოს მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტული ტურიზმის ცენტრი, რომლის დაქვემდებარებაში შედის:
 - ა) ნიქოზის მეკლდეურთა კლუბი.
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“ში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა სულ, 2022 წელს შეადგენდა - 261 - ს. აქედან 21 - შტატით, 240 - შტატგარეშე დასაქმებული თანამშრომელი.
 - 2023 წლის, დღეის მდგომარეობით „სააგენტო“ში დასაქმებულთა რაოდენობა სულ - 259 შეადგენს, აქედან, 20- შტატით, 239- შტატგარეშე თანამშრომელი;
 - დღეის მდგომარეობით, დასაქმებულთა შორის 7 - ომის მონაწილეა; 4 - მაღალმთიან ზონაში მაცხოვრებელი დასაქმებული; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი - 18 თანამშრომელი; სპორტის დამსახურებულ მოღვაწე - 12 თანამშრომელი;
 - 2022 წელს „სააგენტო“-ს 7 თანამშრომელს გაუკეთდა წარდგინება მერიაში დამსახურებული

მუშაკის და მწვრთნელის წოდების მინიჭების თაობაზე;

- სამსახურეობრივი უფლებამოსილების პირნათლად და მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებისათვის, მაღლობა გამოეცხადათ ბრძანებით, პირად საქმეში შეტანით „სააგენტო“-ს 16 თანამშრომელს (2022 წელი);

- დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა განესაზღვრა - 1 თანამშრომელს. (2022 წელი)

- 2022 წლის სექტემბრიდან დღემდე „სააგენტოში“ დასაქმდა 36 თანამშრომელი;

გათავისუფლდა - 37 თანამშრომელი .(აქედან - 17 - პ/განცხადებით; 3 - გარდაცვალების გამო; 2 - საზღვრგარეთ წასვლის გამო; 15 - სხვა სამსახურში დასაქმების გამო;

- გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №43 დადგენილებით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის „სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო“ს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურება მიმდინარე წლის 01 იანვრიდან გაიზარდა 10 % -ით;

- „სააგენტო“-ს HR -ის მხრიდან სისტემატურად მიმდინარეობს „სააგენტო“-ს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზება, კოორდინაცია და კონტროლი;

- შრომით ურთიერთობების მონაწილე მხარეების ინტერესებში გარკვევა, შესაძლო კონფლიქტების შეფასება, დასაქმებულთა ურთიერთობების არაფორმალური მხარეების შეწავლა;

- „სააგენტო“-ს პერსონალის პირადი საქმეების წარმოება, მოწესრიგება, შრომის წიგნაკების წარმოება და შენახვა დადგენილი წესის შესაბამისად;

- შემოსული კორესპონდენციის განხილვა სამსახურის კომპიუტერული ფარგლებში;

- „სააგენტო“-ს პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და შესაბამისი სტრუქტურებისადმი მიწოდება დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;

- საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშნისათვის საჭირო საბუთების მომზადება;

- საკადრო საკითხებზე (სამუშაოზე მიღება, გათავისუფლება, გადაყვანა, წახალისება,

დისციპლინური პასუხისმგებლობა და ა.შ.) ბრძანებათა პროექტების მომზადება და შესაბამისად სააგენტოს ხელმძღვანელის წინაშე წარდგენა;

- პერსონალის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და შესაბამისად „სააგენტო“-ს ხელმძღვანელისადმი წარდგენა;

- „სააგენტო“-ს ხელმძღვანელობას განსახილველად წარუდგენს წინადადებებს სამსახურის

პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

- ახორციელებს პერსონალის საინფორმაციო ბაზის გამოყენებით დასაქმებული პერსონალის პირადი მონაცემების განახლება-სრულყოფას;

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება

მოგეხსენებათ, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს შემადგენლობაში შედის: შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა, გორის რაიონში არსებული სხვადასხვა სპორტული სექციებით, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა, ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა, ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა, გიორგი კანდელაკის სახელობის სოფელ ვარიანის კრივის სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრობის სპორტული ტურიზმის ცენტრი (სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძველზე მოსწავლე-ახალგაზრობის სპორტული ტურიზმის ცენტრის თანამშრომლების ნაწილი გადავიდა სხვა სამსახურში) მიუდოს კლუბი „Golden Gori” და თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club”. სავარჯიშო-საწვრთნელი საქმიანობა მიმდინარეობს სპორტის შემდეგ სახეობებში:

- 1.კალათბურთი;
2. ხელბურთი;
3. ფრენბურთი;
4. ტანვარჯიში;
5. ჩოგბურთი;
6. ძალოსნობა;
7. მძლეოსნობა;
8. რაგბი;
9. კარატე-დო;
10. ტაეკვანდო;
11. კიკ-ბოქსინგი;
12. კრივი;
13. ქართული საბრძოლო ხელოვნება;
14. მეკლდეურობა;
15. თავისუფალი ჭიდაობა;
16. ქართული ჭიდაობა;
17. მიუდო;
- 18.ჭადრაკი;
19. მკლავჭიდი;
20. სამბო;
21. მაგიდის ჩოგბურთი.

2023 წლის ივლისის თვის მდგომარეობით, დამუშავებულ იქნა სპორტსმენთა სტატისტიკა, სქესისა და ასაკის მიხედვით .

სკოლების მიერ წარმოდგენილი ელექტონული ცხრილების მიხედვით ინფორმაცია სპორტულ სკოლებში რიცხული ბავშვების (სპორტსმენების) შესახებ ასეთია:

სპორტული სკოლის დასახელება	ბავშვთა(სპორტსმენთა) რაო-ბა:	მ.შ. გოგო:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	2118	648
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	153	17
მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ტურიზმის ცენტრი - მეკლდეურთა წრე	28	8
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	91	5
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	237	1
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	624	22

სულ:

3251

701

სტატისტიკა:

ასაკი	ბავშვთა (სპორტსმენთა) რაოდენობა
6-9 წელი	689
10-13 წელი	1159
14-17 წელი	1004
18-22 წელი	308
23 წლიდან	91

სპორტულ სკოლებში მიმდინარე წელს ბრძანებით ჩარიცხვების და სექციებიდან გასვლის სტატისტიკა:

სპორტული სკოლის დასახელება	ბავშვთა(სპორტსმენთა) რაობა:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა (ჩარიცხვა)	374
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა (ჩარიცხვა)	2
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა (ჩარიცხვა)	56
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა (ჩარიცხვა)	120
ამოირიცხა სულ:	35

ივნისის მდგომარეობით მწვრთნელთა სტატისტიკა:

სპორტული სკოლის დასახელება	მწვრთნელ-მასწავლ. (ინსტრუქტ.) რაობა:
შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლა	77
ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებული სკოლა	8
მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული ტურიზმის ცენტრი	2
გიორგი კანდელაკის სახელობის ვარიანის კრივის სკოლა	7
ნუგზარ სხირელის სახელობის თავისუფალი ჭიდაობის სკოლა	6
გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლა	11
ძიუდოს კლუბი „Golden Gori“	1

თავისუფალი ჭიდაობის კლუბი „F.W.Skhireli club”	2
---	---

სულ:

114

განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სააგენტოს სასწავლო პროცესის წარმომადგენლები ეტაპობრივად ესწრებოდნენ სხვადასხვა სპორტული სექციების ვარჯიშებს, საწვრთნელი პროცესის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით (მეცადინეობის შემოწმების აქტი №1(31.01.2023წ)-№31(12.06.2023წ)).
2. პერიოდულად მოწმდება სპორტული სკოლების სასწავლო ჯგუფის მუშაობის ჟურნალები და იცემა რეკომენდაციები მათ წარმოებაზე;
3. სისტემატიურად ხორციელდება მოსწავლეთა (სპორტსმენთა) ელ.ბაზების განახლება და მეცადინეობების ცხრილების დამტკიცება;
4. სიახლეების გაცნობის მიზნით პერიოდულად იმართება სპორტული სკოლების მენეჯერებთან და მწვრთნელებთან სამუშაო შეხვედრები.
5. სააგენტოს სპორტული სკოლების მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა: საქართველოს სპორტული მედიცინის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე: „სპორტული ტრავმები, მათი პრევენცია და რეაბილიტაცია; დოპინგის კლიმატი საქართველოში, გამოწვევები და პერსპექტივები“;
6. სააგენტოს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსური სპორტული სკოლის ფრენბურთის მწვრთნელებმა გაიარეს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIVB) პროგრამით ტრენინგ/სემინარი (Level 1);

მიმდინარე წლის 30 ივნისიდან 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში გამოცხადდა სპორტსმენთათვის საზაფხულო არდადეგები, გარდა იმ სპორტული სექციების საშეჯიბრო ჯგუფებისა, რომლებიც ემზადებიან და მონაწილეობენ სპორტული კალენდრით დაგეგმილ ღონისძიებებში.

2022 წელს ჩატარებული შიდა შეჯიბრებები და ღონისძიებები

1. 13 ოქტომბერს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ მურაჩაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილის შეჯიბრება ძიუდოში ჭაბუკთა შორის(2009–2010წ.წ./2011–2012წ.წ.).
2. 23 ოქტომბერს გორში ჩატარდა „გორის დღე 2022“ , რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში.
3. 27 ოქტომბერს ქ. გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ძიუდოში 2006–2008 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის.
4. 12 – 14 ნოემბერს ქ. გორში სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ნუგზარ სხირელის II მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.
5. 17 – 20 ნოემბერს ქ. გორში შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი კარელიძის მემორიალური ტურნირი კრივში ჭაბუკთა შორის.
6. 3 დეკემბერს ქ. გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა სკოლის შიდა პირველობა 2010–2012 წ.წ. დაბადებულ ძიუდოისტთა შორის.
7. 5 დეკემბერს ქ. გორში ავთანდილ შოშიაშვილის სახელობის კრივის სპეციალიზირებულ სკოლაში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარდა შეჯიბრება კრივში.
8. 10 დეკემბერს გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის სკოლაში ჩატარდა ღია რინგი მოსწავლე მოკრივეთა შორის.
9. 26 დეკემბერს გორში ჩატარდა წლის შემაჯამებელი ღონისძიება , სადაც დაჯილდოვდნენ წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები.

2023 წელს ჩატარებული შიდა სპორტული შეჯიბრებები

1. 20 იანვარს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სკოლის შიდა პირველობა ძიუდოში 2009–2010 და 2011–2012 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენტთა შორის.
2. 25 იანვარს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის იოსებ დურგლიშვილის მემორიალური ტურნირი მკლავჭიდში.
3. 3 – 5 თებერვალს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში ჩატარდა სპორტის ოსტატის ბადრი ბარამიძის და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის ომზარ შოშიტაიშვილის II მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

4. 3 – 5 მარტს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის გიორგი ხინჩეგაშვილის VII მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2008–2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის.
5. 26 მარტს გორში ჩატარდა ადგილობრივი მორაგბის ზვიად გიგაიას თასის გათანაშემა რაგბში უმცროსი ასაკის სპორტსმენებს შორის.
6. 1 აპრილს ქ. გორში გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსურ სკოლაში ჩატარდა დავით ჩალაურის მემორიალური ტურნირი ძიუდოში ჭაბუკთა შორის.
7. მ/წლის 25-30 აპრილს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის კომპლექსურ სპორტულ სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს პირველობა კრივში ჭაბუკ მოკრივეთა შორის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გიორგი კარელიძის თასზე.
8. მ/წლის 3 ივლისს გორში „შიდა ქართლის სპორტული თამაშები 2023“ – ის ფარგლებში ჩატარდა მართონი 2023.
9. 10 ივნისს ჩატარდა გ. პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის შიდა პირველობა ძიუდოში 2011–2012 და 2013–2014 წ.წ. დაბადებულ სპორტსმენტთა შორის.
10. 1 ივლისს ქ. გორში ჩატარდა გურამ პაპიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო და მისივე სახელობის ჭიდაობის სკოლის ფასადზე გაიხსნა გურამ პაპიტაშვილის სხელობის ბარელიეფი.
11. მ/წლის 5 – 9 ივლისს გორის სპორტის სასახლეში ჩატარდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის გიორგი კანდელაკის სახელობის XIII საერთაშორისო ტურნირი კრივში ახალგაზრდა მოკრივეთა შორის.

**ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ანგარიში
2022 წელს გაწეული საქმიანობის ფინანსური მდგომარეობის შესახებ**

სააგენტოს 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 2323000ლარს. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 288327 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1375775 ლარით, მივლინება 27012 ლარით, ოფისის ხარჯი 197994 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 79476 ლარით, სამედიცინო ხარჯი 2136 ლარით, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი 5449 ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 83934 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 87090 ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 6495 ლარით, სხვა ხარჯის (სპორტული ღონისძიებების დაფინანსება) 149312 ლარით, არაფინანსური აქტივების შეძენისათვის განისაზღვრა 20000ლარი.

2022 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სააგენტოს 2022 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 2319453 ლარი, იმავე პერიოდის მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლით გაიხარჯა - 288327 ლარი,
2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასზე - 1375773 ლარი,
3. მივლინებებზე - 26947 ლარი,
4. ოფისის ხარჯები შეადგენს - 197891 ლარს,
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 79475 ლარს,
6. სოციალური უზრუნველყოფა --6495 ლარს,
7. სამედიცინო ხარჯი - 2136 ლარს,
8. რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 5448 ლარს,
9. ტრანსპორტის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი - 83868 ლარს,
10. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი--86689 ლარს,
11. სხვადასხვა (სპორტული ღონისძიებების) ხარჯი - 149246 ლარს,
12. შეძენილია არაფინანსური აქტივები თანხით 17158 ლარი .

რაც შეეხება 2023 წელს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ბიუჯეტი შეადგენს 2636000ლარს.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 313400 ლარის ოდენობით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1585200ლარით, მივლინება 55000 ლარით, ოფისის ხარჯი 237230 ლარით, წარმომადგენლობითი ხარჯი 63210 ლარით, სამედიცინო ხარჯი 2000 ლარით, რბილი ინვენტარი და უნიფორმის შეძენის ხარჯი 9000 ლარით, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი 93270 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 37125 ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 3000 ლარით, სხვა ხარჯის (სპორტული ღონისძიებების დაფინანსება) 191565 ლარით, არაფინანსური აქტივების შეძენისათვის განისაზღვრა 46000 ლარი.

დღეის მდგომარეობით გაწეული ხარჯებია:

1. შრომის ანაზღაურებაზე - 152387 ლარი,
2. შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასზე - 783540 ლარი,
3. მივლინებებზე - 27203 ლარი,
4. ოფისის ხარჯები შეადგენს - 162705 ლარს,
5. წარმომადგენლობითი ხარჯი - 26457 ლარს,
6. სამედიცინო ხარჯი - 1224 ლარს,
7. რბილი ინვენტარის და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 1470 ლარს,
8. ტრანსპორტის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი - 33742 ლარს,
9. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი--25914 ლარს,
10. სხვადასხვა (სპორტული ღონისძიებების) ხარჯი - 91375 ლარს,
11. შეძენილია არაფინანსური აქტივები თანხით 10002 ლარი .

საანგარიშო პერიოდში გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თანხების ხარჯვა ხორციელდება წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა

2022 წლის შედეგები

№	სექცია	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	პასუხისმგებელი მწვრთნელი	შედეგი
1	ძიუდო	საქართველოს ფინალური პირველობა 2006 – 2007 წ.წ. დაბადებულ ძიუდოისტთა შორის	30 სექტემბერი – 2 ოქტომბერი	თბილისი	8 სპორტსმენი/ 2 მწვრთნელი	ირაკლი ლომიძე	ნევაზა: მესამე ადგილი – ლიკა დათაშვილი(55კგ); მურად ერისთავი(73კგ); ნოდარ კობალაძე(+90). დგომი: მეორე ადგილი – მურად ერისთავი(73კგ). მესამე ადგილი – ნოდარ კობალაძე(+90კგ)
